ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 14 დეკემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შემდეგში „შემსყიდველი", ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაკო", მისი დირექტორის ნინო ციცქარავას სახით სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი" ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი 2017 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" გაუწევს ექსკევატორით მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის კატეგორია - 77100000-სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები

2.2. კლასიფიკატორის კოდი(CPV)-77111000-სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაქირავება ოპერატორთან ერთად.

2.3. შესყიდვის ობიექტის კონკრეტული დასახელება-ექსკევატორი ბორბლიანი (მარკა D, IFEMEC, D2 Wheeled Excavtor, მოდელი D , 3 860, ფერი ყვითელი 3/8) 3 დღით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1500 (ერთი ათას ხუთასი)** ლარს (იხ.დანართი №1), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5(ხუთი) დღის განმავლობაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების ცენტრის დირექტორი .

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი-შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი:

ზ. ლიფონავა

მის: ქ. ფოთი, ჭანტურიას 3

სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი 742857499

ს/კ №415092919

„მიმწოდებელი"

შპს „მაკო"

დირექტორი:

ნ.ციცქარავა

მის: ქ.ფოთი ფარნავაზ მეფის N1 ბ 77

ს/კ 415094007

სს"თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22

ა/ა GE20TB7872936020100001